

## განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. მანქანათმშენებლობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
2. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
3. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
4. მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
5. მობილური მანქანების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.

### კონკურსის პირობები:

**მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსსანტს მოეთხოვება ახალი პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა; სამუშაოთა დაგეგმვა და მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელობა.

**უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

**მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

### კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
- ზ) სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას ( ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
- ი) პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კ) შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 31 აგვისტო.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017